ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლო დედის ძუძუ, არ გაიცვლების სხვაზედა..“

# ოდიში

1991
შაბათი
27
აპრილი
№ 50 (10443)
ფასი 5 კაპ.

ზუგდიდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

## ბრძანებულება

### რესპუბლიკაში პირველადი მოთხოვნილების საქონლის ფასების მოწესრიგების შესახებ

სსრ კავშირის პრეზიდენტისა და სსრ კავშირის მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილებებით სახალხო მოხმარების საქონლის საცალო ფასების თავსმოხვეულმა მომატებამ საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის სამართლიანი გულისწყრომა გამოიწვია. მდგომარეობა იმითაც მძიმდება, რომ ზოგიერთი პირველადი მოთხოვნილების საქონელზე საწარმოებისა (მწარმოებლებისა) და სავაჭრო ორგანიზაციებისათვის სახელშეკრულებო (თავისუფალი) ფასების დაწესების უფლების მიცემის შედეგად ფაქტობრივად უმართავი გახდა ფასწარმოქმნის პროცესები და უსინდისო პირებს საშუალება მიეცათ საკუთარი ანგარებითი მიზნებისათვის გამოეყენებინათ შექმნილი სიტუაცია.

პირველადი მოთხოვნილების საქონლის ფასწარმოქმნის საქმეში სათანადო წესრიგის დასამყარებლად:

1. დაწესდეს პირველადი მოთხოვნილების საქონელზე ერთიანი ფიქსირებული სახელმწიფო საცალო ფასები საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული სახელმწიფო და სამომხმარებლო კოოპერაციის ყველა სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების ობიექტისათვის.

2. საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრომ საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროსთან, ცეკავშირის გამგეობასთან, რესპუბლიკის სამინისტროებთან და უწყებებთან, საწარმოებთან და ორგანიზაციებთან ერთად უმოკლეს ვადაში დააწესოს მტკიცე სახელმწიფო საცალო ფასები პირველადი მოთხოვნილების იმ საქონელზე, რომელიც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ხალხის ცხოვრების დონეს.

3. საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტრომ და ცეკავშირის გამგეობამ, სავაჭრო ქსელის მქონე სხვა სამინისტროებმა და უწყებებმა უზრუნველყონ საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტებში საცალო ფასების (პრეისკურანტების) თვალსაჩინო ადგილას გამოკვრა.

4. აეკრძალოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ სახელმწიფო და სამომხმარებლო კოოპერაციის ყველა სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო, სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების საწარმოსა და ორგანიზაციას სახელშეკრულებო (თავისუფალი) ფასების დაწესება საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროსთან შეუთანხმებლად.

5. გაუქმდეს გაყიდვიდან 5-პროცენტიანი გადასახადი საქართველოში წარმოებულ და რესპუბლიკის ტერიტორიაზე სარეალიზაციო პირველადი მოთხოვნილების საქონელზე, ჟურნალ-გაზეთებზე, ზოგიერთი სახეობის მომსახურებაზე, მათ შორის ტაქსზე.

6. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს დაუწესოს მკაცრი კონტროლი ფასების სფეროში სახელმწიფო დისციპლინის განუხრელ დაცვას.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 20 აპრილი.

## ნუსხა

### იმ სახეობათა საქონლისა, რომელზეც გავრცელდება ერთიანი სახელმწიფო ფიქსირებული ფასები ნაცვლად სახელშეკრულებო (თავისუფალი) ფასებისა

1. უალკოჰოლო სასმელები და მინერალური წყლები
2. საკონდიტრო ნაწარმი;
3. თევზი და თევზეული.
4. ერბო-შეზელილი პურფუნთუშეული, ორცხობილა;
5. ნაყინი;
6. საბლიჩე და ნაალადე ფქვილი;
7. ყოველგვარი ძეხვეული და შაშხი.

## სოლიდარობა, თანადგომა

ქალაქისა და რაიონის საწარმოო-დაწესებულებებმა, საზოგადოებრივმა მეურნეობებმა აქტიურად დაუჭირეს მხარი პოლიტიკური ბლოკ „მრგვალი მაგიდა— თავისუფალი საქართველოს“ ინიციატივით შექმნილ საგაფიცვო კომიტეტის გადაწყვეტილებას და 25 აპრილს 12 საათზე სოლიდარობის ნიშნად სამი წუთის განმავლობაში შეწყვიტეს მუშაობა. მძღოლებმა კი ეს სოლიდარობა ავტომანქანების სირენებით გამოხატეს. ბევრგან მოეწყო სახელდახელო ხალხმრავალი მიტინგები. მიტინგების მონაწილეთა ერთსულოვანი მოთხოვნაა შეწყდეს კრემლის ჩარევა სუვერენული რესპუბლიკის საქმეში. გაყვანილ იქნას სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარები სამაჩაბლოდან.

ვიდრე ეს მოთხოვნები არ იქნება დაკმაყოფილებული, გაგრძელდება გაფიცვები და სხვა საპროტესტო აქციები. ის ფაბრიკა-ქარხნები, რომლებიც სსრ კავშირის საწარმოებს უგზავნიან მზა პროდუქციას და ნახევარფაბრიკატებს, კვლავაც გააგრძელებენ გაფიცვებს. პროტესტის ნიშნად „საქქალამრეწვის“ საწარმოო გაერთიანება, მანქანათმშენებელი ქარხანა, ჩაის კომბინატი „ოდიში“ და სხვა საწარმოები ერთ კვირაზე მეტია არ აწვდიან პროდუქციას სსრ კავშირის ქალაქებს. მათ მიერ გამოშვებული ათეული ათასობით მანეთის პროდუქცია ინახება საწყობებში. მართალია, ეს გარკვეულ ზიანს მიაყენებს ჩვენს ეკონომიკას მაგრამ არა იმდენს, რამდენსაც დასაღუპავად განწირულ უფსკრულის პირამდე მისულ რუსეთის იმპერიას.

სეზონის წინ

## ხარისხის გაუმჯობესებით

ცაიშის ჩაის ფაბრიკის (დირექტორი ტ. სიჯინავა), კოლექტივი არ ღალატობს ტრადიციებს და მომზადებული ხვდება კარს მომდგარ ჩაის მიღება-გადამუშავების სეზონს.

ფაბრიკის დირექტორთან საუბარში გამოიკვეთა, რომ წელს აქ პირველად ამუშავდება გრეხვა-ფერმენტაციის ახალი ხაზი, რომელიც საგრძნობლად ადიდებს ფრაქციის გამოშვების კოეფიციენტს, აუმჯობესებს ხარისხს.

წელს დამატებით დამონტაჟდება ორი ნახევარ-ავტომატური დაფასოების ხაზი.

ფაბრიკა, რომლის სადღეღამისო წარმადობა 60 ტონაა, წელს მიიღებს და გადაამუშავებს 4150 ტონა ნედლეულს.

ფაბრიკის მიერ გამოშვებულ პროდუქციას, აპირობებს მომწოდებლების კეთილსინდისიერი დამოკიდებულება ჩაის ნედლეულის დამზადების საქმეში, ხარისხიანი ნედლეული — ეს ხარისხიანი პროდუქციაა, რომლის ფასები შესაბამისად გაზრდილია ერთი ორად.

ამჟამად მიმდინარეობს შელესვისა და სანტექნიკური სამუშაოები.

ძვირფასო ზუგდიდელებო, ახალსოფლის მშრომელთა სახელით გილოცავთ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებას. გულით მჯერა, რომ ეს წინგადადგმული ნაბიჯი დიდი ბედნიერების მომტანია ჩვენი ხალხისათვის. იურიდიულად ეს გაკეთდა 9 აპრილს და ამ საქმეში უდიდესია ბატონ ზვიად გამსახურდიას და სულმნათ მერაბ კოსტავას წვლილი.

მუხრან მაჭავარიანისა არ იყოს, 9 აპრილს, იმ ტრაგიკული დღის ორი წლისთავზე „კვლავ

## თავისუფალ საქართველოს ძლიერი ეკონომიკა სჭირდება

დაიქუხა საქართველომ“. ცხადია, დღეს ყველამ ერთი საქმე უნდა ვაკეთოთ — საქართველოს საქმე.

ვაი, იმ ქართველს, რომელიც საბჭოთა ტანკების გრუხუნის მოლოდინშია, თუმცა ასეთი აზრის დაშვებაც ამაზრზენად მიმაჩნია. უკეთესია ქართველი კაცი მომხდურის ტყვიას შეაკვდეს, ვიდრე მტრის სამადლო სიცოცხლით იცხოვროს.

თავისუფლება და დამოუკიდებლობა გვავალებს ვიშრომოთ გაასკეცებულად. სხვისი იმედად არსებობა სიკეთეს ვერ მოგვიტანს. ბედნიერი ცხოვრება შრომით, მხოლოდ შრომით მოიპოვება, რადგან, სიმართლე რომ ვთქვათ, წლების განმავლობაში ხალხი შრომას გადავაჩვიეთ, წარმოების უსახო სტრუქტურების არსებობით, მაგრამ ახლა ხომ არის შესაძლებლობა ოჯახიც იყოს კმაყოფილი და მამულიც. ვისაც გული უცემს, ხომ შეუძლია იჯარით—ვადით, თუ უვადოდ აიღოს სახნავ-სათესი, მრავალწლიანი ნარგაობა, მოუაროს მას და შექმნას დოვლათი.

ცხოვრების გამოცდილებამ მათქმევინა: შრომას მოვკიდოთ ხელი. ხანამ გვიან არ არის მივხედოთ ჩაის პლანტაციებს, ციტრუსს, [illegible] რამეთუ დამოუკიდებე[illegible] საქართველოს სჭირდება დამოუკიდებელი ეკონომიკა. დღეს ის კი არ არის მთავარი, ვის რა „პოსტი“ ექნება, მთავარია ვილვაწოთ ყველამ ერთად ერის მატერიალური და სულიერი აღმავლობისათვის.

მოდით, ვემსახუროთ ქვეყანას კეთილსინდისიერად, მტერს დავუყენოთ თვალი, ვაწარმოოთ სამყოფი კი არა ჭარბი პროდუქცია, შევქმნათ ძლიერი ეკონომიკა, მაშინ კი ვერავინ იქნება ჩვენი მომრევი.

პ. კიკალიშვილი,
ახალსოფლის კოლმეურნეობის
გამგეობის თავმჯდომარე.

# ეკონომიკური კრიზისი და მდგომარეობის ხელოვნური გართულება

ყველასათვის გასაგებია თუ რა რთულ პირობებში გვიხდება ცხოვრება, ხელოვნურად წარმოქმნილი ეთნოკონფლიქტებისა და ეკონომიკური ბლოკადის პირობებში, პირადი გამდიდრების მიზნით ეკონომიკური სტრუქტურების მოსაშლელად ცალკეულ მოქალაქეთა მოქმედება რესპუბლიკისა და საზოგადოების საზიანოდ, სხვა არაფერია, თუ არა ერის ღალატი.

ეკონომიკურ სფეროში განუკითხაობა და უკონტროლობა, ბუნებრივია, თავისთავად გავლენას ახდენს ადამიანთა ფსიქიკაზე და ისედაც რწმენა შერყეულ ადამიანს აყენებს რთულ პირობებში. ასეთ დროს ადმინისტრაციული და ყველა მაკონტროლებელი ორგანოების საქმიანობა მოითხოვს განსაკუთრებულ მობილიზაციასა და ქმედითუნარიანობას. საჭიროა ბოლოს და ბოლოს მოწოდებებიდან კონკრეტულ საქმეებზე გადავიდეთ. რამდენად გაცვეთილადაც არ უნდა მოგვეჩვენოს ეს სიტყვები, სრული შეგნებითა და მისი აუცილებლობით დარწმუნებული მაინც ვიტყვით, რომ საჭიროა საზოგადოების თანადგომა და სამართლიანობისათვის ერთობლივი ბრძოლა. სამართლის უზენაესობა და კანონიერების განმტკიცება, სწორედ დემოკრატიული სახელმწიფოს ძირითადი საკითხია, თუ არა საზოგადოების თანადგომა და უკომპრომისო ბრძოლა, ეკონომიკასა და მომსახურების სფეროში არ გვექნება წესრიგი. უწესრიგობას ხელს უწყობს თვით ჩვენი უსუსური და კოლიზიებით სავსე კანონებიც. ავიღოთ თუნდაც სისხლის სამართლის კოდექსის 169 მუხლის მესამე ნაწილი.

ვაჭრობის წესების დარღვევის შესახებ ამ მუხლში ნათქვამია: „სავაჭრო საწარმოების (ორგანიზაციების) ან საზოგადოებრივი კვების საწარმოების (ორგანიზაციების) საწყობიდან, ბაზებიდან, დამხმარე ნაგებობებიდან საქონლის გაყიდვა. ან მყიდველისათვის საქონლის დამალვა ჩადენილი ანგარებით ან სხვა პირადი დაინტერესებით, ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით, ვადით ერთ წლამდე სავაჭრო საწარმოებში (ორგანიზაციებში) და სხვა საზოგადოებრივი კვების საწარმოებში (ორგანიზაციებში) გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევით, ან უამისოდ, ანდა ჯარიმით 100 მანეთამდე.

იგივე ქმედება ჩადენილი გამეორებით, ისჯება თავისუფლების აღკვეთით სამ წლამდე ან ჯარიმით სამას მანეთამდე. ხოლო ანგარებით დაინტერესებისას ჯარიმით—ხუთას მანეთამდე. ჩვენი აზრით ამ მუხლის დისპოზიცია, მსგავსად სისხლის სამართლის კოდექსის სხვა მუხლებისა, ხელოვნურად გართულებულია. კერძოდ, დისპოზიციაში ცალკე ხაზი გაესვა ანგარებას ან სხვა პირად მოტივებს. ე. ი. გამოძიებამ თუ მოკვლევამ უნდა ამტკიცოს რომ მაინცდამაინც ანგარების მიზნით ჰქონდა ადგილი საქონლის გადამალვას. ბუნებრივია, იბადება კითხვა: გასაყიდად გამოსატან სარეალიზაციო საქონლის გადამალვისას, ვაჭრობის დარგის მუშაკს სხვა რა მიზანი უნდა ჰქონდეს თუ არა ანგარება. ჩვენი აზრით, საჭიროა ამ მუხლის დახვეწა და უფრო გამარტივება, რადგან მიგვაჩნია ასეთ პირობებში კიდევ დამატებით, ანგარებით ან სხვა პირადი მიზნის ძებნა სხვა არაფერია თუ არა დამნაშავისათვის ხელშეწყობა, პასუხისმგებლობისაგან თავის დასაღწევად. საჭიროდ მიგვაჩნია აგრეთვე სასჯელის ჯარიმების გაზრდა, რათა ვაჭრობის დარგის მუშაკს ამით მაინც შევუნელოთ სურვილი ამგვარი დანაშაულის ჩადენისა.

მიმდინარე წლის სამ თვეში ქალაქის ადმინისტრაციული ორგანოების მიერ გამოვლენილ იქნა ვაჭრობის სისტემაში დეფიციტური და იმპორტული საქონლის გადამალვის არა ერთი შემთხვევა. მაგრამ ვაჭრობის სისტემის სათანადო სამსახურები სრულ უმოქმედობას იჩენენ ამ მიმართულებით.

სავაჭრო სისტემის მაკონტროლებელ სამსახურში მოკალათებული ზოგიერთი კონტროლიორის წყალობით ვაჭრობის მუშაკები თუ კვლავაც განაგრძობენ თვითნებურად პარპაშს, მომხმარებელთა უმოწყალო ძარცვას, მაშინ ისღა დაგვრჩენია დავაყენოთ საკითხი მაკონტროლებელი სამსახურის ზოგიერთი უღირსი მუშაკის საშტატო ერთეულის შემცირების შესახებ და მათი ხელფასით გაწეული ეკონომია მოხმარდეს საქველმოქმედო საქმეს. ზოგიერთ ნაკლებად გათვითცნობიერებული ადამიანებისაგან კი ხშირად გაიგონებთ: ადრე —ყველაფერი იშოვებოდა და ახლა არაფერი გვაქვსო. მაგრამ მათ ის არ იციან, რომ ისევ ის ბობოლა საქმოსნები ახდენენ ამ საბოტაჟს და იწვევენ ადამიანების ფსიქოლოგიის დეფორმაციას. ამის ნათელსაყოფად რამდენიმე კონკრეტულ ფაქტს მოვიყვან. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აქ მოყვანილი ფაქტები, როგორც იტყვიან ზღვაში წვეთია იმ შემთხვევებთან შედარებით, რაც სინამდვილეში ხდება მომსახურების სფეროში. შემოწმებამ გვიჩვენა, რომ ინგირის მომხმარებელთა საზოგადოების ინგირის აგროსამრეწველო კომბინატის სამეურნეო მაღაზიის გამყიდველს მ. გულუას გადამალული ჰქონდა 2.852 მანეთზე მეტი ღირებულების უცხოური და სამამულო წარმოების დეფიციტური საქონელი. სოხუმის ფიზიკა—ტექნიკური ინსტიტუტის მუშათა მომარაგების განყოფილების № 9 მაღაზიის გამყიდველს ბ. ჯლარკავას აღმოაჩნდა 1323 მანეთზე მეტი ღირებულების უცხოური წარმოების გადამალული საქონელი. სამტრედიის რკინიგზის მუშათა მომარაგების ინგირის № 94 მაღაზიის გამყიდველს ა. წურწუმიას და ვ. ლატარიას გადამალული ჰქონდათ 2000 მანეთზე მეტი ღირებულების უცხოური წარმოების საქონელი. ასევე უცხოური წარმოების გადამალული საქონელი აღმოაჩნდათ ზუგდიდის რაიკოოპკავშირის საიჯარო მაღაზია „ინგირის" სამრეწველო სექციის გამყიდველს დ. [illegible]ვას, ქალაქის ვაჭრობის სამმართველოს სავაჭრო ცენტრის პურპულის სექციის გამყიდველს ქ. გელანტიას, სოფელ ოქტომბრის სამეურნეო მაღაზიის გამყიდველს დ. თორდიას, სოფელ კოლხიდის მაღაზიის გამყიდველს ნ. როგავას, ხოლო ამ დღეებში თუ რა საგანგაშო ფაქტი იქნა გამოვლენილი სოფელ ჭითაწყარის მაღაზიაში, ამის შესახებ ზუგდიდელები კარგად არიან ინფორმირებული საქართველოს ტელევიზიის მიერ და ამაზე აქ არ შევჩერდები, რადგან იგი ცალკე წერილის თემაა.

დეფიციტური საქონლის გადამალვაში მონაწილე ყოველი ზემოთაღნიშნული ადამიანების უკან დგანან საქმოსნები, მაგრამ ისინი როგორც ყოველთვის კვლავ უვნებელნი რჩებიან და თავისუფლად განაგრძობენ თავიანთ „მოღვაწეობას", ხოლო სათანადო სამსახურები ისევ დუმილით კმაყოფილდებიან. აღნიშნული ფაქტები ხდება მაშინ, როდესაც ჩვენი მაღაზიის დახლები დაცარიელებულია. ხოლო სავაჭრო ქსელში შესული საქონლის მიზიდვით მდიდრდებიან ეგრეთწოდებული კომერციული მაღაზიები, რომლებიც უკონტროლობის შედეგად აშკარა სპეკულაციას ეწევიან და ძირითადში ემსახურებიან უმაღლესი რანგის საქმოსნებს, რადგან მარტო ხელფასზე დამოკიდებულ მოქალაქეს იქ შესვლისას ალბათ მარტო იმის სურვილი გაუჩნდება, რომ თავი იწყევლოს ამ ქვეყნად მოვლინებისათვის.

**რ. ახალაია,**
ზუგდიდის სარაიონთაშორისო პროკურორის მოადგილე, პირველი კლასის იურისტი.

# „ლაე, იყოს შუქი!"

ამ წერილს არა აქვს იმის პრეტენზია, რომ საფუძვლიანად შეეხოს ჩვენი კუთხის კულტურული ყოფის დღევანდელი სავარაუდო დეგრადაციის საკითხებს. ჩვენი მიზანია ქალაქის კულტურული „პეიზაჟის" რამდენიმე უფერული შტრიხის მოკრძალებული წარმოჩენა, რადგან გვჯერა, რომ კულტურული ყოფის პრობლემას არც ისე ცოტა ზნეობრივი, ესთეტიკური, გენეტიკური და სხვა მორალურ-მეცნიერული თუ სამეურნეო მხარე გააჩნია. ცნობილია ისიც, რომ კულტურის შესახებ მრავალი სხვადასხვა შეხედულების გარდა არსებობს კიდევ ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო თვალსაზრისი. პირველის მიხედვით, კულტურაში მთელი კაცობრიობის სულიერი ცხოვრების რაღაც აზრია მხოლოდ გატარებული. მეორე თვალსაზრისიდან გამომდინარე, ხელოვნებისა და კაცობრიობის აზროვნების მთავარი ღირებულება ჩანს მხოლოდ მათ პიროვნულ არსში, მათ განცალკევებულობაში. გავრცელებულია აზრი, რომ „უძრაობის ეპოქამ" განსაკუთრებით დამღუპველად კულტურის სფეროში იჩინა თავი. დღეს, სამართლებრივი საზოგადოების შენების პერიოდში, როდესაც მთელი საქართველოს მასშტაბით, შეძლებისდაგვარად, არსებული დაძაბული პოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინების პირობებში იგრძნობა კულტურული მემკვიდრეობის აღდგენისადმი, ახალი სულიერი სივრცეების მოპოვებისაკენ მისწრაფება, დროა ვიზრუნოთ ჩვენი ქალაქის კულტურული ფასეულობების აღორძინებისათვის. დაბეჯითებით ვერ დავიწყებთ იმის მტკიცებას, რომ მდგომარეობა კულტურის სფეროში კატასტროფულია, მაგრამ არც თუ ისე სახარბიელო სურათი გვეხატება ამ მხრივ. ნათქვამია, ზოგჯერ დუმილი ბევრად უფრო მრავალმნიშვნელოვანია, ვიდრე მეტყველი ენამჭევრობა. მიუხედავად ამისა, მიგვაჩნია, რომ ამ შემთხვევაში მეტყველება დუმილზე უკეთესია, რადგან ჩვენი სიტყვის საგანი ერთობ საჭირბოროტოა. დროა გადაწყდეს ზუგდიდის სახელმწიფო დრამატული თეატრის პრობლემური საკითხები. უნდა ითქვას რომ ბევრი სუბიექტური თუ ობიექტური, დამაბრკოლებელი, ანგარიშგასაწევი მიზეზების მიუხედავად, ხალხს საბოლოოდ მაინც შედეგი აინტერესებს. ამ რამდენიმე ხნის წინათ ზუგდიდელებისათვის დიდი რიხით შემოთავაზებული საკაბელო ტელევიზიის ბურუსით მოცული პერსპექტივაც დაინტერესებული ინდივიდების ყურადღების მიღმა არ არის დარჩენილი. არსებითად, არც ხატელევიზიო გადამცემი სადგურის მუშაობა დგას სათანადო დონეზე. ჯერჯერობით ღიად რჩება ზუგდიდში რომელიმე უმაღლესი სასწავლებლის ფილიალის გახსნის საკითხიც. ქალაქს აქვს ერთადერთი სამხატვრო სკოლა, რომელიც ფაქტობრივად, იმის გამო, რომ შესაფერისი შენობა არ გააჩნია, სრულყოფილად ვერ ავლენს თავის შესაძლებლობებს. სურათების გალერეა სხვადასხვა მიზეზების გამო ერთ ციცქნა ფართობზეა განთავსებული. მასთანაა შეხიზნული საქალაქო კულტურის სახლიც. აღნიშნულის გარდა, ქალაქის ტერიტორიაზე ფუნქციონირებენ სარაიონო და „ენგურქაღალდკომბინატის" კულტურის სახლები. თუ იმ ჭეშმარიტებას ვერწმუნებით, რომ სულიერი სიკეთის შექმნა შეუძლია იმ დაწესებულებას, რომელიც საარსებო წყაროებითაა უზრუნველყოფილი, ადვილად წარმოსადგენია, რა პოტენციებით იქნება აღჭურვილი „უსახლო კულტურის სახლი". ხედავდე იმ უხერხულობას და არ ჩაერიო, ეს ნიშნავს, რომ გულგრილი, ხარ ყოველივე პროგრესის მიმართ. ვფიქრობთ, სამი კულტურის სახლის ნაცვლად, კადრების გადახალისებისა და გადაადგილების შემდეგ, ქალაქის ტერიტორიაზე უნდა იმოქმედოს ერთმა კულტურის სახლმა, რადგან ზუგდიდელი მხატვრები იმას კი არ ცდილობენ რომ მათმა ტილოებმა „საყოველთაო" აღიარება ჰპოვონ, არამედ იმას, რომ აღიარება დაიმსახურონ, გაცილებით უკეთესი და კეთილმოწყობილი სურათების გალერეა ეკუთვნით (რა თქმა უნდა, ჩვენ არ ვგულისხმობთ ჰააგის მაურიცხეისის ან კიდევ ვენეციის აკადემიის გალერეის დონეს). გარდა ამისა, სასურველია, ქალაქში მიმოფანტული რამდენიმე ბიბლიოთეკის ბაზაზე, ერთი ან ორი დიდი ბიბლიოთეკა გაიხსნას. საყოველთაოდ მიღებული შეხედულების თანახმად, იმის გამო, რომ კულტურული მემკვიდრეობა არსებობს არა რომელიმე ჩაკეტილი წრისათვის, არამედ მთელი ერისთვის, ზუგდიდის მუზეუმის შემოგარენს უნდა დაუბრუნდეს თავისი ისტორიული პირველსახე. ამასთან დაკავშირებით, ეროვნული ტრადიციებისაგან გვერდის აუვლელად შეიძლება გავითვალისწინოთ ევროპის ძველი სამთავროების ცენტრების, ციხე-სიმაგრეების თუ ქალაქ-სახელმწიფოების [illegible] სპეციალისტების მიერ თანამედროვე მოთხოვნილებათა დონეზე დაგეგმარების გამოცდილება.

აქვე უნდა დავუმატოთ ისიც, რომ ნებისმიერი ქალაქის ღირსების აღქმისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მის არქიტექტურულ ანსამბლს. პატარა ქალაქსაც უნდა გააჩნდეს ისეთი თვალშისაცემი ნაგებობა, რომელშიც თანამედროვე არქიტექტურის პრინციპებიდან გამომდინარე გამოხატული იქნება ავტორის ორიგინალური ხედვა.

ბოლოს, ერთხელ კიდევ უნდა ვთქვა, რომ მიმოხილული საკითხების წარმოჩინებისათვის არ გამოგვიყენებია [illegible] წამიერი უპირატესობის ნატამალიც კი, რადგან ამ უკანასკნელს მოკლებული ვართ. არც იმას ვისახავთ მიზნად, ვინმეს სიბრძნე ვუქადაგოთ. ჯერ კიდევ შუმერების თქმულებებში წყლის რომელიღაც ურჩხული, ადამიანი—ამფიბია (ადამიანი—თევზი, თევზკაცა) ასწავლიდა ხალხს იმას, რისი ცოდნაც მათთვის იყო საჭირო. აფრიკის, ამერიკის და ინდოეთის ზოგიერთ ლეგენდებში ასეთი „კულტურული გმირები" ადამიანებს არამარტო ველურ ბრინჯსა და სიმინდს ჩუქნიდნენ, არამედ იმასაც კი ასწავლიდნენ, თუ „როგორ დაეჭირათ თავი საზოგადოებაში". მაშ, ერთხელ კიდევ გავიხსენოთ უძველესი თქმულებების მთავარი მოქმედი გმირთა სიმბოლიკა. გავიხსენოთ, რადგან „ადამიანს სჯერა [illegible] რასაც ხედავს".

**ნუგზარ გულორდავა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრეწველობა—91

# მთავარი მაინც ადგილობრივი რესურსების გამოვლენაა

ზუგდიდის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის მრავალრიცხოვან კოლექტივს გარკვეული წვლილი შეაქვს ქალაქის ეკონომიკის განმტკიცების საქმეში.

ადგილობრივი მრეწველობის კომბინატი, როგორც სახელწოდება მიგვანიშნებს ორმოცდაათიან წლებში შეიქმნა ჭითაწყარის აგურის ქარხნის ბაზაზე, რომლის პროდუქცია არაფრით არ ჩამოუვარდებოდა სხვა ქარხანათა ნაწარმს. ზუგდიდში მრავალი დიდებული სახლია ნაგები ჭითაწყარის აგურით. მას შემდეგ არა ერთი საამქრო შეემატა საწარმოს და 1966 წელს, კომბინატის ჩამოყალიბების პირველ წელს, გამოშვებულია 40 ათასი მანეთის პროდუქცია. 1985 წლისათვის კი სახალხო მეურნეობას მიეწოდა 7 მილიონი მანეთის პროდუქცია.

დღეს კომბინატში ფუნქციონირებს სამკერვალო, პოლიეთილენის, ლუფის, ზეთოვანი სალებავების, საკედლე ბლოკის, ხის დამუშავების საამქროები, რომლებიც განლაგებულია ქალაქსა და სხვადასხვა სოფლებში.

დიდი მოთხოვნილებაა სამკერვალო საამქროს მიერ გამოშვებულ თეთრეულზე, სამედიცინო ხალათებზე, სამუშაო კოსტიუმებზე და სხვა, რომელიც ზუგდიდელთა მარკით იგზავნებოდა და იგზავნება რესპუბლიკის გარეთაც. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ელექტროენერგიის ხშირმა გამორთვებმა, ნედლეულის მოუწოდებლობამ გარკვეული დაღი დაასვა დავალების შესრულებას: თუ კი შარშან საამქრომ პროდუქციის გამოშვების დავალება პირველი კვარტალის 124 პროცენტით შეასრულა, წელს შესაბამის პერიოდში მან 74 პროცენტი შეადგინა. გამოშვებულია 348 ათასი მანეთის ანუ 127 ათასი მანეთით ნაკლები პროდუქცია.

მიუხედავად იმისა, რომ მკერავებმა ვერ უზრუნველყვეს პროდუქციის გამოშვების პირველი კვარტალის დავალების შესრულება რეალიზაციის გეგმის განაღდებით მიიღეს საგრძნობი მოგება.

საამქროს შეუფერხებელი მუშაობა ბევრადაა დამოკიდებული მექანიკოს კანდიკო ნაჭყებიას, ელექტრიკოს ათოსი მამფორიას, ოსტატების ვალიკო წიფურიას, წუნმდებელ ირა კუხალეიშვილის, ტექნოლოგ ია ქარჩავას უნარზე და შემოქმედებით ნიჭზე. მკერავების ლამარა ანთიას, ლიანა ქობალიას, თეზიკო ჭაფანძის, დარეჯან ცაავას და მათი თანამოსაქმეებისათვის უცხოა წუნის გამოშვების შემთხვევები. საამქროს უფროსს ჭემალ ფარცვანიას განზრახული აქვს აღადგინოს ამოქარგული თეთრეულის გამოშვება, რასაც ეგზომ დიდი მოთხოვნილება აქვს და დიდძალი შემკვეთიც გააჩნია, როგორც რესპუბლიკაში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც.

როცა ადგილობრივი მრეწველობის რესურსებზე ვამახვილებთ ყურადღებას ნაგულისხმევია ლუფის წარმოების გადიდება, რაც ერთ-ერთ ადგილობრივ მომგებიან ნედლეულად შეიძლება ჩაითვალოს. მისი მოვლა-მოყვანა შრომატევადია, მაგრამ სახელშეკრულებო ფასები იმდენად მაღალია, რომ მის მოყვანას გულმოდგინედ უნდა მოკიდოს ხელი გლეხმა.

ძიების, რესურსების ამოქმედების მრავალ კომპონენტს შორის კომბინატის სპეციალისტებს ნაგულისხმევი აქვთ საკედლე ბლოკის ჩამოსხმა ადგილობრივი კირის მინარევით, რომელიც შეცვლის ძვირადღირებულ ცემენტს. არადა უმოქმედოდაა საკედლე ბლოკის საამქრო, არ მუშაობს ხის დამმუშავებელი საამქროც.

კომბინატმა პირველ კვარტალში 960 ათასი მანეთის პროდუქციის ნაცვლად გამოუშვა 583 ათასი მანეთის პროდუქცია, მიზეზთა შორისაა ელენერგიის დეფიციტი, ფონდხრებული საქონლის შეზღუდვა, მიუხედავად ამისა, ზარალიანი პროდუქციების გამოშვების შეზღუდვით, სატრანსპორტო ხარჯების ეკონომიით, მიაღწიეს შეუსრულებინათ რეალიზაციის დავალება, 60 ათასი მანეთის ნაცვლად მიეღოთ 70 ათასი მანეთის მოგება.

ისახება სამომავლო გზები.

კომბინატის დირექტორთან ეგნატე კილასონიასთან საუბარში გამოიკვეთა, რომ კომბინატმა უნდა აღადგინოს აგურის წარმოება, რომლის ბაზა და კარიერი გააჩნია ზუგდიდს, აწარმოოს ლაფნის მიღება-დაფასოება, ბამბუკის დამზადება. კირის კარიერის ამოქმედებით კომბინატს ექნება საშუალება გამომწვარი კირით განუსაზღვრელად მოამარაგოს მშენებლები.

დაგროვილ პრობლემათა თანამიმდევრული გადაწყვეტაა გათვალისწინებული სამომავლოდ, მთავარია პასუხისმგებლობა, შემოქმედებითი ძიება. მთავარი და მთავარი, მაინც ადგილობრივი რესურსების გამოვლენაა.

ზ. აბულაძე.

# მდგომარეობა სწორდება

მოძრავ-მექანიზირებული კოლონა №16-ის კოლექტივმა (უფროსი ბ. კუკავა) რომელიც ძირითადად ასრულებს ობიექტების სანტექნიკურ-სამონტაჟო, ელმომარაგებისა და წყალგაყვანილობის სამუშაოებს, წელს უნდა აწარმოოს 400 ათასი მანეთის სამუშაო.

პირველ კვარტალში შესრულებულია 151,1 ათასი მანეთის სამუშაო, ანუ გეგმიურთან შედარებით ნაკლები, რაც გამოწვეული იყო ელექტროენერგიის დეფიციტით. ამჟამად მდგომარეობა სწორდება.

ჩქარი ტემპით მიმდინარეობს „საქქალაქმრეწვის" საწარმოო გაერთიანების ადმინისტრაციული კორპუსის სანტექნიკური სამუშაოები, ახალკახათში ელექტრობოძების შეცვლა რკინა-ბეტონის ბოძებით. ახალკახათში ელექტროენერგიის მომარაგების გარე სამუშაოები გრძელდება.

მინდობილ საქმეს პასუხისმგებლობით ეკიდებიან სამუშაოთა მწარმოებლები: აბელ ფაცაცია, ზვიად ქირია, გოგი ჯანჯღავა, ბესიკ ვოტმანი და სხვები.

ბ. ჟურულია,
ეკონომისტი.

უცხოეთის გაზეთებიდან

# ერთგული გმირის გედი ამერიკაში

გენერალი ნორმან შვარცკოფი, რომელიც ხელმძღვანელობდა ამერიკის შეიარაღებული ძალების მოქმედებას ერაყთან ომში, აპირებს პენსიაზე გასვლას და მემუარების წერას. ამას იტყობინება გაზეთი „ნიუსუიკი" თავის ბოლო ნომერში. ამ საკვირაო გამოცემის მონაცემებით, 56 წლის ხელმძღვანელი ოპერაციისა „ქარიშხალი უდაბნოში", ამასწინათ არ დათანხმდა პრეზიდენტ ჯ. ბუშს შემოთავაზებულ წინადადებაზე —დაეკავებინა ამერიკის შეერთებული შტატების არმიის შტაბის უფროსის თანამდებობა. ამით მან მიანიშნა სურვილზე, ამ ზაფხულს საერთოდ მიანებოს თავი სამხედრო კარიერას.

ქუვეითის განთავისუფლების შემდეგ შვარცკოფი აღიარეს ამერიკის ეროვნულ გმირად. მას ერთხმად უწინასწარმეტყველებენ ამერიკის შეერთებულ შტატებში უმაღლეს სამხედრო ჩინს—„ხუთვარსკვლავიანი გენერალი". აგრეთვე მომავალში პრეზიდენტის სავარძელს. თუმცა ამ ბოლო ხანებში მისი სტრატეგიული გენიის თაობაზე აღტაცების ბუკი ოდნავ განელდა. წინააღმდეგობრივი რეაქცია გამოიწვია გენერალის განცხადებამ: „ჩემი ნება რომ ყოფილიყო, გავაგრძელებდი ომს ერაყის ჯარების სრულ განადგურებამდიო". ყოველ შემთხვევისთვის გადადგომის შესახებ მისი განცხადება პენტაგონში ბევრმა ხაზგასმული კმაყოფილებით აღიქვა.

როგორადაც არ უნდა წარიმართოს „უდაბნოს გმირის" სამოქალაქო ცხოვრება, ერთის თქმა მტკიცედ შეიძლება: მას ნამდვილად არ ემუქრება, ხელმოკლე ყოფა. მემუარებისათვის ავანსად მას პირდებიან 4 მილიონ დოლარს. ამას გარდა, ძალზე შთამბეჭდავია იმათი რიცხვი, ვინც მას იწვევს ლექციების წასაკითხად. თითოეულ ასეთ საჯარო გამოსვლაში ლეგენდარული გენერალი ჰონორარის სახით მიიღებს 50-60 ათას დოლარს.

ჯ. თელია.

# შევევედრეთ საქართველოს ბედნიერება

ალმზრდელობით დარგში დირექტორის მოადგილის იზოლდა ქარჩავასა და მოსწავლე-ახალგაზრდობის გაერთიანება „სამშობლოს" ხელმძღვანელის ქანა ძაძამიას ინიციატივით 9 აპრილს, ახალაბასთუმნის საშუალო სკოლის მოსწავლეთა და მასწავლებელთა ერთი ნაწილი დავადექით გზას მარტვილისაკენ, რათა მუხლი მოგვეყარა საქართველოსთვის წამებულ აზა ადამიას საფლავზე. წვიმდა, ქალაქის ცენტრში გამავალი ავტობუსი შევაჩერეთ, მოედნის ცენტრში ხალხის აღტაცებული სახეები შემოგვეგება. გავიგეთ საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს საგანგებო სხდომის გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ.

უდიდესი ისტორიული აქტის მომსწრენი გავხდით, გამოცოცხლდა დადუმებული ავტობუსი, იყო შეძახილები: აღსრულდა აზა ადამიასა და მის წამებულ და-ძმათა ოცნება, ნეტავი მერაბი მოსწრებოდა ამ დღეს.

ცრემლნარევი სიხარულით დავხარეთ თავი აზას წმინდა საფლავთან. იქვე გავმართეთ ლიტერატურული კომპოზიცია: „მათ ხსოვნას სამშობლო სანთლებად აინთებს"

შემდეგ კი მარტვილის ეკლესიაში დავანთეთ წმინდა სანთლები და ღმერთს შევევედრეთ საქართველოს ბედნიერება.

ნ. ქადარია,
ახალაბასთუმნის საშუალო სკოლის პედაგოგი.

# გახსენება

რა ნაადრევი და მიუსადაგებელია ეს სიტყვა შენთვის, დათო! მას უდიდესი ნაღველი და ტკივილი ახლავს თან!

1990 წლის 27 დეკემბერი არასდროს ამოიშლება ჩვენი მეხსიერებიდან. ამ დღეს შეწყდა შენი სუნთქვა, ნაადრევად შეგიწყვიტა სიცოცხლე ღვთის მიერ შეჩვენებულმა ხელმა.

მხოლოდ ჩვიდმეტ გაზაფხულს შეესწარი...

ნაადრევად დავაჟკაცებული დღევანდელობის უჩვეულო სურნელს გრძნობდი და შენი თანატოლებივით იმედიანი მზერით გაჰყურებდი სამშობლოს მომავალს.

ეს გაზაფხული თავისუფალი საქართველოს პირველი გაზაფხულია, იგი შენი ყვავილობის გაზაფხულიც უნდა ყოფილიყო ამავე დროს.

ვაგლახ, რომ...

გავა ჟამი. მრავალი წელი ჩაივლის. დათო კვარაცხელიას ხსოვნა კი მარად უქრობ კელაპტრად დაგვრჩება გულში.

მეგობრები.

# ცოდვა, რომელსაც შენდობა არა აქვს

დღევანდელი არასახარბიელო ეკოლოგიური პირობები ბევრწილად ტყის გაჩანაგებითაც არის გამოწვეული. ტყე სიცოცხლის წყაროა და მასზე ნაჯახიანი ხელის აღმართვა არავის უნდა ეპატიოს, არადა, სამწუხაროდ, ჯერაც ბევრია ტყის უნებართვო გაკაფვის შემთხვევები.

ასეთი აღმაშფოთებელი ფაქტი მოხდა ხმა წლის 20 მარტს სოფელ ოდიშის ტერიტორიაზე, ვინმე ვანო ბერიშვილმა ვერაგულად გაკაფა ჩემს მიერ გაშენებული ხე-ტყე თითქმის 3000 კვადრატულ მეტრ ფართობზე. განადგურდა მრავალი ძირი სხვადასხვა ჯიშის ხე.

როგორც ირკვევა, ტყის გამჩანაგებელი ვ. ბერიშვილი სათანადო ორგანოებმა გარკვეული თანხით დააჯარიმეს, მაგრამ ეს შეცვლის სიცოცხლე წართმეულ ხეებს? ბუნების ხელყოფა დიდი ცოდვაა ღმერთისა და ერის წინაშე.

გონდო შელია,
პენსიონერი.

წერილი რედაქციას

# გვინდა ვიცოდეთ

მოსახლეობა არ არის ინფორმირებული რა ღირს ნავთი და ლუმელის სათბობი.

ვთხოვთ შესაბამის სამსახურებს გაზეთის საშუალებით გვაცნობონ ნავთისა და ღუმელის სათბობის სარეალიზაციო—მოსახლეობისათვის მისაღები და სახელმწიფო ფასი.

შალვა პედია.

წარსული მზის ქვეშ

# რა საკითხავია, ბატონო..

ფეხსაცმელების შემკეთებელ სახელოსნოში არაერთხელ ვყოფილვარ ასეთი დიალოგის მოწმე:

— ო, ამ ფეხსაცმელს, თქვენ რომ გინდათ ისე, მე ვერ გავარემონტებ... იუხანას მიუტანეთ, უთუოდ გაგიკეთებთ.

— იუხანა?!...

— ჰო, ჩვენ იუხანას ვეძახით... მისი ნამდვილი სახელი გურამი გახლავთ... მილიციის შენობის წინ პატარა სახელოსნო რომ არის იქ მუშაობს.

... მართლაც ჩინებული ხელოსანია იუხანა ანუ ოფიციალური მიმართვით — გურამ სარულიძე. დალოცვილს სიკეთე გამოსდის ხელიდან. უკვე „სასიკვდილოდ" გამზადებულ ფეხსაცმელს ახალ სიცოცხლეს ანიჭებს, ახალ ელფერს სძენს. საყვარელ საქმეს გულს ატანს გურამი და ამიტომაც ემადლიერებიან მას კლიენტები, ზუგდიდელი მოქალაქეები.

გურამ სარულიძე ასირიელია. როგორც თავად გვითხრა, მისი ბაბუა დავითი ოჯახით 1914 წელს ჩამოსულა ზუგდიდში. რელიგიურ [illegible] გენოციდს გამოქცევიან სამშობლოდან. გურამის მამა იაკობი ზუგდიდში დაბადებულა 1918 წელს, აქვე გარდაცვლილა ექვსიოდე წლის წინ...

ძირძველი, ნაღდი ქართული ოჯახი აქვს გურამ სარულიძეს, სადაც ქრისტიანული აღმსარებლობით იზრდება სამი ქალიშვილი. შეძლებულად ცხოვრობენ, შრომაც უყვართ და მეგობარ-მეზობლების პატივისცემაც.

საქართველო უყვართ? — რა საკითხავია, ბატონო, განა შეიძლება შვილების მოყვარე და ერთგული დედა შვილებს სძულდეს?!

ჯ. ჯაბადარი.

# მეხანძრეებმა იმარჯვეს

ამას წინათ სამგორის ქუჩაზე №15-ში მდებარე სახლს ხანძარი გაუჩნდა. ცეცხლი ჯერ კედლებს მოედო, მერე ჭერსა და იატაკს. მეზობლებმა ხელი გამოიღეს, მაგრამ ცხადი იყო, რომ ვედროებით ხანძარს ვერ ჩავაქრობდით.

ხანძრის შესახებ დროზე ვაცნობეთ ქალაქის სახანძრო ნაწილს. ოპერატიულმა მორიგემ რ. ჯლარკავამ და ცვლის უფროსმა ლ. ნარმანიამ დაგვამშვიდეს. სახანძრო მანქანები ახლავე თქვენთან იქნებაო. მართლაც და სამი წუთი არც კი იყო გასული, რომ ორი სახანძრო მანქანა (მძღოლები მ. ფირცხალავა და რ. ცაავა) შემთხვევის ადგილზე გაჩნდნენ. მეხანძრეებმა მ. მიქავამ, ნ. კუპრავამ, ა. ღურწკაიამ, ზ. ლაზარიამ, ჯ. დარსანიამ ყველაფერი იღონეს ხანძრისაგან სახლის გადასარჩენად. მეხანძრეთა დროული ოპერატიული ჩარევა რომ არა გამორიცხული არ იყო რომ ხანძარი მეზობელ სახლებსაც გადასდებოდა.

სამგორის ქუჩის მცხოვრებლები მეხანძრეთა ოპერატიულობით დიდად კმაყოფილნი არიან.

სამგორის ქუჩის მცხოვრებთა სახელით

ზ. დარასელია.

ზუგდიდის ცენტრალური სტადიონი
1 მაისი, 1991 წელი
საქართველოს ეროვნული საგაზაფხულო ჩემპიონატი
(უმაღლესი ჯგუფი).
„ოდიში" (ზუგდიდი) „გურია" (ლანჩხუთი)
დასაწყისი 18 საათზე.
გათამაშდება ერთგულების ლატარია.
ლატარიის ბილეთები და შესასვლელი ბილეთები გაიყიდება ცენტრალური სტადიონის სალაროებში 30 აპრილს და 1 მაისს დილის 10 საათიდან.

უ უ რ ა დ ღ ე ბ ა!

1991 წლის 30 აპრილს, 8 საათზე ქალაქის პრეფექტურის (ყოფილი ალმასკომის) სხდომათა დარბაზში ჩატარდება მებაღეობის ამხანაგობათა გამგეობის საანგარიშო კრება.

მებაღეობის ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა.

კრებაზე დაუსწრებლობის შემთხვევაში მიღებულ იქნება წესდებით გათვალისწინებული ყველა ზომა, საბაღე ნაკვეთის ჩამორთმევამდე.

მებაღეობის ამხანაგობათა გამგეობა.

ინგირის №77 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი მიმდინარე წლის 3 მაისს ატარებს ღ ი ა კ ა რ ი ს დღეს. გ თ ხ ო ვ თ მ ო ბ რ ძ ა ნ დ ე თ!

სასწავლებლის მისამართია: ზუგდიდის რაიონი, ინგირის აგროსამრეწველო კომბინატის ტერიტორია, ტელეფონი: 2—57—98.

ზუგდიდის რაიონის საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანების პოლიკლინიკურ განყოფილებაში 29 აპრილიდან მუშაობას იწყებს უკონტაქტო ბიომასაჟის და წერტილოვანი მასაჟის სპეციალისტი ლალი ენვერის ასული ლუკავა, რომელიც მკურნალობს არტერიულ ჰიპერტონიას და ჰიპოტონიას, სხვადასხვა ეტიმოლოგიის თავის ტკივილს, ვეგეტონევროზს, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებებს, უძილობას, ოსტეოხონდროზით გამოწვეულ ტკივილებს (მარილები), სახსრების სხვადასხვა დაავადებებს, ქალურ დაავადებებს, შარდის შეკავებას, უნებლიე შარდვას (ენურეზი), შაქრიანი დიაბეტის ზოგიერთ ფორმებს, გონებრივი განვითარების ჩამორჩენას ბავშვებში, სიმსუქნეს.

მიღება 12 საათიდან 17 საათამდე კვირის გარდა, რაიონულ პოლიკლინიკაში. ავადმყოფები გამოკვლეული უნდა იყვნენ შესაბამისი სპეციალისტების მიერ.

ზუგდიდის რაიონის საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანების ადმინისტრაცია.

# ღმერთმა გვიმრავლოს!

ობლად გავიზარდეთ. დედ-მამა არც კი გვახსოვს. ჩემი ძმა მეორე მსოფლიო ომმა შეიწირა, მე კი დავბრუნდი მეორე ჯგუფის ინვალიდი.

ინვალიდები და ხანდაზმულები რომ განსაკუთრებულ ზრუნვას საჭიროებენ საზოგადოებისაგან, ახალი როდია, მაგრამ ყოველთვის როდი ხერხდება ეს. თუმცა არიან ადამიანები, რომლებიც მძიმე პირობებშიც კი ზრუნავენ გაჭირვებაში მყოფთათვის, თავის პროფესიულ მოვალეობას ღირსეულად ასრულებენ და ყურადღებას არ აკლებენ მათ.

ერთ-ერთი მათგანია ზუგდიდის სააფთიაქო სამმართველოს უფროსი ზაირა თორდია. კეთილად მიმღები, დაუზარელი, მისი გულთბილი მოპყრობაც კი წამლად გვეკურნება. ომისა და შრომის ვეტერანები დიდად ვემადლიერებით მას უმწიკვლო სამსახურისათვის. ღმერთმა გვიმრავლოს ასეთი მუშაკები.

მიხეილ შონია,

ომის მეორე ჯგუფის ინვალიდი.

მეუღლე ზაირა. შვილები: ლუარა, გიგო, ხახო და ცინა. ძმა ძუკა. შვილიშვილები: [illegible], სოფიკო, ხანათა, ირაკლი, შოთა, სიძე კვიტია თოდუა, რძლები [illegible] ზოია, გონელი, [illegible], მადონა. დისშვილები: ლიანა, თამაზი, ველოდი, [illegible] კოგოხიები. ძმისშვილები [illegible], მამიდაშვილები, დეიდაშვილები, ბიძაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან შოთა სამსონის ძე [illegible] გარდაცვალებას. დაკრძალვა 30 აპრილს სოფ. ინგირში. გამოსვენება დადიანის ქუჩა 6-დან.

შვილები: ლუერი, ნინა ქარცხიები. სიძე [illegible] მხეიძე. შვილიშვილები: ნესტანი, ირმა, მანანა, ზუთხუზ მხეიძეები. თენგიზ, მაკა, ინგა ლომიძეები. ძმისშვილები: ჟუჟა, მარგო, ლევთერი, ნაზია, ნარგიზა კვარაცხელიები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**თამარა (ასპირო) მოსეს ასულ კვარაცხელია-ქარცხიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 27, 28 აპრილს. დაკრძალვა 30 აპრილს. გამოსვენება სამეგრელოს ქ. 45, (ყოფილი 25 თებერვლის ქუჩა) 6 საათზე.

ფეხბურთი

# ტრადიციულ ტურნირზე

14-21 აპრილს ქ. ჯვარში სპორტკლუბ „ენგურის" (თავმჯდომარე რ. ქირია) ინიციატივით გაიმართა საქალაქთაშორისო ტრადიციული ტურნირი სპორტის დამსახურებული ოსტატის ოთარ გაბელიას პრიზზე 1977-78 წლებში დაბადებულ ჭაბუკებს შორის. აღნიშნული ტურნირის სპონსორი იყო „ენგურის" საბინაო-კომუნალური სამმართველო (უფროსი ვ. ჭკუასელი).

გათამაშებაში, რომელიც ჩატარდა წრიული სისტემით, მონაწილეობდნენ თბილისის „ავაზას" და „კარის", ზუგდიდის „ოდიშის", ზუგდიდის „დინამოს", „ზუგდიდი—91"-ის, წალენჯიხის „სკურის" და ქ. ჯვარის ჭაბუკი ფეხბურთელები.

გათამაშებაში პირველი ადგილი დაიკავა ზუგდიდის „დინამოს" ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდმა (მწვრთნელები გიორგი ყალანდია, ვახტანგ ჯოჯუა), მეორე ადგილზე თბილისის „ავაზას" სპორტსმენები გავიდნენ. (მწვრთნელი მიშა ჯარმელაშვილი), ხოლო მესამე ადგილი ქ. ჯვარის ფეხბურთელებმა დაისაკუთრეს (მწვრთნელი დათო თოდუა).

გათამაშებაში გამარჯვებულ ზუგდიდის გუნდს პრიზი გადასცა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ოთარ გაბელიამ. ასევე სამახსოვრო პრიზებით დაჯილდოვდნენ თბილისის „ავაზასა" და ქ. ჯვარის გუნდები.

ტურნირზე დაწესებული იყო შვიდი პრიზი, რომლებიც ასე განაწილდა: საუკეთესო მეკარის პრიზი გადაეცა ავთო ჩაჩიბაიას („ავაზა"); საუკეთესო დამცველის — მიშა დიდიძეს (ზუგდიდის „დინამო"), საუკეთესო ნახევარდამცველის — მანუჩარ ნაჭყებიას (ქ. ჯვარი), საუკეთესო თავდამსხმელის — კახაბერ ნოდარიძეს („ავაზა"), საუკეთესო ბომბარდირის — კობა წითაიშვილს (ზუგდიდის „დინამო"), ყველაზე ტექნიკურ ფეხბურთელის — პაატა ჭოჭუას („ავაზა"), ტურნირის საუკეთესო მოთამაშის პრიზი კი დაიმსახურა ზაზა ქირიამ (ზუგდიდის „დინამო").

რედაქტორი
აკ. შანტურია.

მეუღლე ინდიკო. შვილები: მერაბი, მედიკო, ზურიკო. დედა თამარა. მამა დურუ. გამზრდელი ფიდოსია ლუბელაძე. ძმები: ზონდო ფიფია, გული ლუბელაძე. დები: ქენია, ნათელა, მოკონა, ნანი. შვილიშვილები: იკა, ალიკა, აველინა, ანზორი. სიძეები ანზორ არახამია, კაკო თაკალანძე, გერმანე შამათავა, ზაურ აკობია. რძლები ხათუნა კაკაშვილი, დოდო ღურწკაია. ქეთო ბაჯელაძე. ბიძები: საშა ფიფია, დამიანე ლუბელაძე. ბიცოლები: ნორა, ტატიანა, დეიდა ვენია ჩხეტია. მამიდები: ტატიანა, მარიამი, მაზლები: ებელი, ელიკო, გურამი, ძმისშვილები, დისშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან

**ლიანა დურუს ასულ ფიფია-ჩახაიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 28, 29 აპრილს. დაკრძალვა 30 აპრილს. გამოსვენება ზუგდიდი, ბათუმის 1-ლი შესახვევი 1.

შვილი დოდო. რძალი ნაირა. შვილიშვილები: მანონი ქირია, მალხაზ კუტალია. სიძე ბაჯა მეუნარგია. შვილთაშვილი მარიამ მეუნარგია. დეიდაშვილები: საშა ხოშტარია, ომარ, ნათელა გვაჯაიები. ქეთო გრიგოლაია, მძახალი ცაცა სამინავა. ცოლის დისშვილი ნათელა მეიშვილი, ცოლისძმისშვილები მიტუშა, ციალა, ნელი მეიშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**შალვა მაკარის ძე კუტალია.**

პანაშვიდი 27, 28 აპრილს. დაკრძალვა 30 აპრილს სოფ. ცაიშში.

მეუღლე ვენერა. შვილები: იზოლდა, ნუგზარი, რამინი, ვალერი და მაგდო. ძმები: ვახტანგი, ალექსანდრე. რძლები: თამარა, ვალია, მადონა, დარეჯანი, როზა. შვილიშვილები: ელგუჯა, ინგა, თათო, ხათუნა ხოშტარიები, ზაზა, ლოთო, ირინე, ირაკლი შენგელიები. ახლო ნათესავები იუწყებიან

**ლოთიკო ისტატეს ძე შენგელიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 28, 29 აპრილს. დაკრძალვა 30 აპრილს [illegible] ჯიხაშკარში.

სადგურ ზუგდიდის კვების კომბინატის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

**შალვა მაკარის ძე კუტალია.**

ჯიხაშკარის საშუალო სკოლის 1961 წლის კურსდამთავრებულები იუწყებიან თანაკლასელის

**ნაირა კოჩობას ასულ ლაგვილავა-გულუას**

გარდაცვალებას.

შვილები: მურთაზი, გულნარა, ნუგზარი, გია, დალი, რძლები ნაირი ყურუა, სვეტა მიხაილიდი, თამარ ხარებავა, სვეტა გულორდავა, სიძე ჯუმბერ გოგილავა, შვილიშვილები ნანა, ელისო, რომეო, ნუკრი, ნუნუ, ნატო ქირიები, ფატიმა, დათო, მაკა გოგილავები. დისშვილი ვლადიმერ ფიფია, ძმისშვილები ვაჟიკო, მერი, აველინა, ლორენცო, ლამარა, დოდო, ციალა, ჯემალ ქირიები. ცოლისდები: ეთერი, ციალა, როენა, ცოლისძმები: გურიელი, გივი, ედემი, გენო გოგენიები. ქვისლები გვანჯი კუპრეიშვილი, ლუთინე ჭაჭანაია, სერგო ალანია, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, ცოლისდისშვილები, ცოლისძმისშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**კოლია ივანეს ძე ქირიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 28, 29 აპრილს. დაკრძალვა 30 აპრილს 6 საათზე ს. ურთაში.

მეუღლე ლიდა, შვილები: სულიკო, ზაური, ზაირა, რევაზი. ძმები ბუხუტი, ჟორჟი. რძლები: ხუტა, გულიშა, ზაირა, იზო ბუაძეები. შვილიშვილები: სოსო, ნატო, ემზარი, ნაილი, ელისო როგავები. მამუკა, მანანა ნაჭყებიები, მანონი, მარინა, ნათია, კახა, მედეა ბუაძეები. სიძეები შალიკო როგავა, გულიკო ნაჭყებია, დათო ლომაია, ენუქი ხაფავა, მამუკა თორია, გოდერძი ჭურღულია, ძმისშვილები, ჟუნა, აბიკო, ჩაქვა, კლარა, თალიკო, მიმოზა, ტარიელ ბუაძეები, ბიძაშვილები: ორდენ, ჟორიკო ბუაძეები, ვალოდია, კიკიტო, სოსო ახვლედიანები, დეიდაშვილი შავრუხი ხუფაცარია, ახლო ნათესავები იუწყებიან

**სერაპიონ ჯოურუმუს ძე ბუაძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 27, 28, 29 აპრილს. დაკრძალვა 30 აპრილს ს. კოკში.

ძმისშვილები: ლევთერი, ჟუჟა, მარგო, ნაზია, ნარგიზა კვარაცხელიები, რძალი ფენია ჯიქია, სიძეები: დაფენტი, ნოდარი, იანური, ჭიჭიკო ოჯახებით იუწყებიან მამიდის

**თამარა (ასპირო) მოსეს ასულ კვარაცხელია-ქარცხიას**

გარდაცვალებას.

ბავშვთა სარძეო სამზარეულოს თანამშრომლები იუწყებიან

**ლიანა დურუს ასულ ფიფია-ჩახაიას**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ი ნ დ ე ქ ს ი 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი, მერაბ კოსტავას ქ. 56 ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80, რედაქტორის მოადგილის 2-33-69, პასუხისმგებელი მდივნის 2-31-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2-21-78, მშრომელთა წერილების 2-25-12, რადიორედაქციის 2-47-00.

საქ. ბეჭდვსახკომის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. №56, 2 23 01, ტირაჟი 8000 შეკ. №1571